№ 201 სექტემბერი 29, სამშაბათი 1887 სექტემბერი 29, სამშაბათი № 201



| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

გაზეთის ღირს

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და ყოვ. განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბოთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდიეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი



დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში

ნაკვესი

ანუ

მოსწრებული სიტყვანი ძველთა და ახალთა ქართველთანი.

ფასი ერთი აბაზი.

ტფილისს გარეშე ეს წიგნი ისყიდება

გორში—ს. მგალობლიშვილთან. ‖ ხონში—ნ. წერეთლის მაღაზიაში.
ქუთაისს—ვ. ჭილაძის მაღაზიაში. ‖ ბათუმში—მ. ნათაძესთან.


ტფილისი, 28 სექტემბერი

ამას წინად ჩვენ სამიოდე წერილი მოვანდომეთ იმ საკითხავს, თუ როგორ შევუფეროთ დროთა ვითარებას და ბ-ნის საერო განათლების მინისტრის ცირკულიარს ჩვენი სათავად-აზნაურო სკოლები, თუ რა ხასიათი და მიმართულება უნდა მიეცეს ამ სკოლებს იმისთვის, რომ ისინი შეიქმნან ნამდვილ სახსრებრად ჩვენის განათლებისა და წარმატებისა. ჩვენ ვამბობდით, რომ საჭიროა ვიქონიოთ დღევანდელ სათავად-აზნაურო სკოლების მაგიერ ერთი ან რამდენიმე სამეურნეო სკოლები, რომლებმაც მოზარდს თაობას უნდა მისცეს დამთავრებული, დასრულებული სწავლა-ცოდნა, ისეთი სწავლა-ცოდნა, რომლის შეწევნობით ადამიანს შეძლება ექმნება ცხოვრების სარბიელზე გამოვიდეს პატიოსან და გამრჯელ მუშაკად, ცხოვრებას მხნედ შეეჭიდოს და მის უღელს მხნედ ეწიოს. ესეთს ჩვენს აზრს ჩვენ ვამყარებდით იმაზე, რომ თვით ჩვენს ცხოვრებას ეჭირვება სამეურნეო სწავლა-ცოდნა, რომ ჩვენი ერი განსაკუთრებით მიწის მოქმედი ერია. გარდა ამისა იმასაც ვამბობდით, რომ სამეურნეო სკოლა მოსწავლეთა უმრავლესობას, რომელიც სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამოისობით მოკლებული იქმნება საშუალებას უმაღლესი სწავლა შეიძინოს და შეითვისოს, მისცემს ცხოვრებაში გამოსაყენებელს სწავლა-ცოდნას. ამიტომაც სამეურნეო სკოლებს უპირატესობას ვაძლევთ რომლისამე საშუალო სასწავლებლის წინაშე, რომელიც არ აძლევს დამთავრებულს, დასრულებულს სწავლა-ცოდნას მოზარდ თაობის უმრავლესობას და ეს უმრავლესობა ხომ მოკლებული იქნება საშუალებას უმაღლესი სწავლა-ცოდნა მიიღოს. იმათთვისკი, ვისაც ხელ-მოკლეობა წინ არ გადაეღობება, ღია იქმნება სხვა სასწავლებლის კარები; მათთვისაც, ჩვენის აზრით, მეტი არ იქნება მოსამზადებელ კლასების არსებობა, რომელთა გაუქმება, ჩვენის აზრით, შეუწყნარებელი საქმეა.

ეხლა საჭიროდ ვსცანით იმავე საგნის ხელ-ახლად განხილვა და ორიოდე სხვა მოსაზრების მოხსენება, რადგანაც საზოგადოებაში ჯერ კიდევ ცხარე ბაასია იმის თაობაზე, თუ რა ხასიათი და მიმართულება უნდა მიეცეს სათავად-აზნაურო სკოლებს. ზოგნი დღესაც იმ აზრისანი არიან, რომ სათავად-აზნაურო სკოლები გადაკეთებულ იქმნას რეალურ სასწავლებლად, რათა მოზარდს თაობას საშუალება მიეცეს უმაღლესი სპეციალური სწავლა-ცოდნა მიიღოს. აი, ამიტომაც საჭიროა, რაც შეიძლება მომეტებულის სიფრთხილით და ჩაფიქრებით ვმოქმედობდეთ, საჭიროა, მწერლობაში გარკვევით და საბუთიანად გამოითქვას ის აზრი, რომელიც საზოგადოებაში დასტრიალებს და მხოლოდ, ამის შემდეგ გადაწყდეს იმ სკოლების ბედი... აქ იმაზე ბევრს არაფერს ვიტყვით, რომ ჩვენ განსაკუთრებით მიწის მოქმედნი ვართ და კიდევაც უნდა ვიყვნეთ, არც იმასა, რომ რეალური ან სხვა რომელიმე საშუალო სასწავლებელი უმაღლეს სასწავლებლების კარებს არ გაუღებს მოსწავლეთა უმრავლესობას, არც იმას მოვიხსენიებთ, რომ მოსწავლე თაობა მხოლოდ საშუალო სწავლა-ცოდნით აღჭურვილი და უმაღლეს განათლებას მოკლებული მოუმზადებელი იქნება ცხოვრებას შეეჭიდოს. ამაებზე უკვე გვისაუბრია მკითხველებთან და ეხლა სხვა გარემოებაზე უნდა მივაქციოთ მკითხველების ყურადღება. ერთი ისა, რომ თუ რამდენიმე სამეურნეო სკოლა გავმართეთ სათავად-აზნაურო სკოლების მაგიერ, სხვა-და-სხვა ადგილებში, მაშინ მოსწავლეთა რიცხვიც იმატებს, რადგანაც მშობლებს ბავშვების შენახვა ისე ძვირად არ დაუჯდებათ, როგორც ტფილისში; ამ გარემოებას, ე. ი. მოსწავლეთა რიცხვის გამრავლებას, დიდი მნიშვნელობა აქვს საერო განათლებისათვის. როცა საერო განათლებაზე ვლაპარაკობთ, უეჭველად ერის უმრავლესობა უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რადგანაც საერო განათლება მაშინ არის ძლიერი და ფრთა-შესხმული, როცა სწავლა-ცოდნის სხივები მოეფინება უმრავლესობას საზოგადოებისას, ერისას, როცა განათლება ვრცელდება არა მარტო სიღრმით, არამედ სიგანითაც. ადვილად წარმოსადგენია, თუ რაოდენი სიკეთე შეგვეძინება, როცა რაც შესაძლოა უმეტესს ნაწილს მოზარდ თაობისას მიეცემა ისეთი სწავლა-ცოდნა, რომელიც ცხოვრებაში ყოველთვის გამოსადეგარი იქნება. საქმე ის არის, რომ ნამდვილი ძალა იმ სწავლა-ცოდნას აქვს ადამიანთა ცხოვრებაში, რომელიც ადვილად გამოსაყენებელია. მაშინ არის საზოგადოება დაზღვეული სხვა-და-სხვა ხიფათისაგან, როცა მისნი წევრნი უსაქმოდ არ დარჩებიან და ცხოვრების ბორბალს თავს არ გაასრესინებენ. მეორე გარემოება, რომელიც გვიმტკიცებს, რომ ჩვენ მომეტებულად გვეჭირვება სამეურნეო სწავლა-ცოდნა, არის შემდეგი: ჩვენი თავად-აზნაურობის მატერიალური მდგომარეობა მაინცა და მაინც სანატრელი არ არის; ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ მას აკლია სწავლა-ცოდნა, საქმიანობა, შრომის სიყვარული და ბეჯითობა. ჩვენი თავად-აზნაურობა თითქმის მთელს თავის სიცოცხლეს, დროსა და მოცალეობას სრულიად უნაყოფოდ ჰკლევს, ასე რომ თვისს მამულებსაც ვერ გასძღოლია რიგიანად. შრომის სიყვარული და ბეჯითობა უქმი სიტყვაა ჩვენებურ თავად-აზნაურობისათვის. აი, სწორედ ამისთვის საჭიროა სამეურნეო სწავლა-ცოდნა, რომელიც საქმიანობაზე გულ-აცრუებულს თავად-აზნაურობას შეაჩვევს შრომასა, მამულის სიყვარულს და საქმიანობას და იმ ცრუ აზრებს გაუფანტავს შრომის შესახებ, რომლითაც დღეს ბევრი თავად-აზნაურნი ხელმძღვანელობენ ცხოვრებაში.

შეიძლება გვიპასუხონ, რომ ეგ სამეურნეო სკოლები, რომელთა შემოღებასაც გვირჩევთო, საშუალო

# ფელეტონი

## HORLA

(შემდეგი *)

7 აგვისტო

მშვიდად მეძინა. „იმან“ მთელი ლიტრა წყალი დალია, მაგრამ მძინარე-კი არ შევუშფოთებივარ და არ დაუუფეთიანებივარ.

მართლა ჭკვათა-მყოფელი ვარ, თუ არა? ამას წინად მდინარის ნაპირზედ დავდიოდი და ეჭვი ავიღე ჩემის გონებისა და ჭკუის სიმრთელეზედ. მე გიჟი და გონება შეშლილი ადამიანი ბევრი მინახავს. ბევრი მინახავს იმისთანებიც, რომელნიც სრულს ჭკუაზედ იყვნენ, შორს-მხედველნი და გონივრადა სჯიდნენ ყველაფერზედ, ერთს გარდა, ერთს წერტილსა და მუხლს გარდა. რომ გელაპარაკნათ ამ ხალხთან, გაგაკვირვებდათ იმათი ღრმა ჩაკვირვება საბაასო საგნის გამო, დამჯდარი ჭკუა, მახვილი გონება, მაგრამ როგორმე ლაპარაკი შეეხებოდა იმ მუხლს, რაზედაც შეშლილიყვნენ, და აზროვნობა ეკარგებოდათ, ლაპარაკის ნასკვი ველარ ეპოვნათ და გონება ერეოდათ.

რასაკვირველია, მეც ჩემს თავს ჭკვაზე არა-მყოფელად, გონება დაბნეულად ჩავთვლიდი, რომ არა ვგრძნობდე და ანგარიშს არ ვაძლევდე, რაც მომდის და რაც მემართება. უფრო ის არის ამ შემთხვევაში საფიქრებელი, რომ თვალ-წინ ლანდი მიდგება და ამასთან არც იმდენად ვკარგავ გონებას, რომ არ ვიცოდე, რაც მემართება. ტვინი, ეტყობა, ცოტაოდნად შერყეული მაქვს და ამ შერყევამ გონება დამიბნელა და აზროვნობას როგორღაც ნახტომი შეუშალა. ამისთანა მოვლენის ახსნასა და გამოკვლევასა ცდილობენ ეხლა თანამედროვე პსიხოლოგები. ამისთანავე მოვლენა გვემართება ძილში, როცა სიზმრებსა ვხედავთ, ათას გვარი შეუძლებელი და ახირებული სურათები წარმოგვიდგება ხოლმე თვალ-წინ, მაგრამ არ გვიკვირს, რადგან ამ დროს ჩვენი ზედამხედველი და ყველაფრის რიგის მიმცემი გრძნობა მოსვენებულია, არა მოქმედობს და წარმოდგენა-კი ჩვეულებრივს საქმეშია. იქნება ტვინის იარაღის რომელიმე სიმი მეც გაწყვეტილი და ან მოდუნებული მაქვს? იქნება, ვინ იცის. ის ხომ ნამდვილად მოხდება ხოლმე, მაგალითებრ,—რომ ზოგიერთნი სხვა-და-სხვა უბედურებათა გამო მეხსიერებასა ჰკარგავენ და ნაცნობთა და ნათესავთა სახელები აღარ ახსოვთ, ან ზმნები ავიწყდებათ, ან რიცხვები. ეხლა სწავლულთა მიერ უკვე დამტკიცებულია, რომ შეიძლება ადამიანი ერთის რომელისამე მხრივ შეიშალოსო. მაშ რა საკვირველია, რომ მეც ლანდი ვერ გამირჩევია სინამდვილისაგან.

ყველა ეს მოვიფიქრე მდინარის ნაპირზედ სეირნობის დროს. მზეს გაეკაშკაშებინა არე-მარე, დედამიწას ამშვენიერებდა, თითქოს იმას მეუბნებოდა, რომ აი რა ტკბილია სიცოცხლე, დასტკბი და გაიხარეო. მეც შევცქეროდი მერცხლებს და იმათი შურდულივით ფრენა თვალს მისიამოვნებდა, ყურს კიდევ წყლის ნაპირზედ ამოსულ ბალახის ბიბინი და შრიალი ასიამოვნებდა და ატკბობდა.

ცოტ-ცოტა რაღაც გამოურკვეველი შიშის გრძნობა ჩამესახა გულში. ასე მეგონა, რომ საიდუმლო ძალა ხელებსა მხვევს, ნაბიჯის წინ წადგმას მიშლის და უკან მაბრუნებს-მეთქი. საშინლად მომინდა სახლში დაბრუნება, თითქო წინასწარი გრძნობა ჩამესახა, რომ შენი მახლობელი, ან ნათესავი ცუდს, უკანასკნელს მდგომარეობაშია და წადი ნახეო.

დავბრუნდი სახლში და დარწმუნებული ვიყავი, რომ მსახური წერილს, ან დეპეშას დამახვედრებს და ამ დეპეშასა და ან წერილში უსიამოვნო ამბავი ეწერება-მეთქი. მსახურს ჩემთვის არაფერი დაუხვედრებია, მაგრამ ისე ვიყავ გაოცებული და აღელვებული, თითქოს კიდევ რაიმე ლანდი მიდგა თვალ-წინ, ან სიზმრებში ვარო.

8 აგვისტო

გუშინ საშინელი ღამე გავატარე. „ის“-კი აღარ მეჩვენება ხოლმე, ხოლო ვგრძნობ, რომ აქ არის, ჩემს ახლოს, შემომცქერის, თვალ-ყურს მადევნებს, სულსა და გულში მიძვრება და მიმონავებს, მიმორჩილებს, მიბატონდება; როცა ასე იმალება და არ მეჩვენება, უფრო საშინელია, ვიდრე მაშინ, როცა მოსვენებას არ მაძლევს და წამებული ვყევარ. ასე იყო თუ ისე, ცოტაოდე მეძინა.

9 აგვისტო

არა მომხდარა-რა, მაგრამ მეშინიან-კი.

10 აგვისტო

კიდევ არაფერი; ვნახოთ ხვალ რა იქნება?

11 აგვისტო

არაფერია... არა, არა, აქ ვერ გავძლებ, ეს ფიქრი და შიში დამაქლერქებს,—წავალ სადმე.

12 აგვისტო. საღამოს 10 საათია.

მთელი დღე სადმე წასვლას ვიყავი მოწადინებული, მაგრამ ვერ შევიძელ. მინდოდა ჩემის თავის უფალი ადამიანი ვყოფილიყავ, სულ უბრალო ჩემი სურვილი ამესრულებინა—გარედ გამოვსულიყავ, ეტლში ჩამჯდარიყავ და რუანამდე წავსულიყავ—და ვერ შევიძელ. რადა?

13 აგვისტო

დავიღუპე! ვიღაცას შეუპყრია ჩემი სული და გული და ბრძანებლობს. ვიღაცა დამპატრონებია და ისე ვიქცევი, ისე ვმოქმედებ და ვაზროვნებ, როგორც იმასა სურს. მე ჩემდა თავად აღარაფერსა ვნიშნავ, მონა ვარ სხვისა და ჩემსავე საქციელს, სხვის მიერ ჩაგონებულს, გაოცებული შევყურებ. მინდა წავიდე სადმე და არ შემიძლიან, იმას არა სურს, და ვარ შინ, გამოშტერებული, გამოყეყეჩებული, აღელვებული ვარ, ვცახცახებ შიშით და სავარძლიდგან-კი ვერ ვიძვრები, ვერ ვიძვრები, რადგან იმას ასე სურს, ასე ვუჭერივარ მაგრად ფეხებ-შებოჭილი და განძრევის ნებას არ მაძლევს. მინდა წამოვდგე ფეხზე, რომ დავუმტკიცო ჩემს თავს, ჩემის თავის უფალი მევე ვარ-მეთქი—და ალაგიდგან ვერ ვიძვრები!.. მილურსმნული ვარ სავარძელზედ და სავარძელი დაკრულია იატაკზედ, ისე მაგრად, რომ იმისი აგლეჯა არავის და არაფერს არ შეუძლიან.

შემდეგ უეცრად რილასისათვისაც მომინდება წამოდგომა, უეჭველად, უეჭველად, უეჭველად უნდა ავდგე, ბაღში გავიდე, მარწყვი მოვწყვიტო და ვჭამო-მეთქი, და მეც ვდგები, ბაღ-

*) იხ. „ივერია“ №№ 196, 198 და 200.

სასწავლებლები არ იქნებიანო. ეს მართალია, მაგრამ ვინ გვიშლის შემდეგისათვის, როცა მეტი საშუალება გვექნება, საშუალო სამეურნეო სასწავლებელზედაც ვიფიქროთ? განა ეს მოუხერხებელი საქმეა?

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ქუთაისის გუბერნიაში ჯარის-კაცთა გამოყვანა, რომელიც დანიშნული იყო 15 ღვინობისთვისათვის, გადაიდო 1 गიორგობისთვემდე.

*** გუშინ ბ-ნმა კავკასიის მთავარ-მართებელმა სადილი გაუმართა თავის სასახლეში ახლად-გამწესებულ აფიცრებს.

*** 23 სექტემბერს ტფილისის ოლქის სასამართლოში განირჩა საქმე სტამბის პატრონის, ბ-ნ ექ. ხელაძისა, რომელსაც ჰბრალდებოდა უცენზუროდ დაბეჭდვა გაზ. „ივერიის" პროგრამისა 1885 წელსა. ბ-ნ ხელაძეს არა ჰყვანდა ვექილი და თვითონა ლაპარაკობდა თავის გასამართლებელად. უმთავრესი აზრი მისის საბუთებისა ის იყო, რომ გაზეთის პროგრამა დამტკიცებული იყო პეტერბურგში ბეჭდვის მთავარ-სამმართველოს მიერ და ამიტომ საჭიროება აღარ მოითხოვდა, მისის აზრით, რომ მაინც ცენზორს მოეწერა ხელიო. სასამართლომ არ მიიღო საკმარის საფუძვლად ეს გამართლება და გადაუწყვიტა ბ-ნ ხელაძეს ერთის დღით დაპატიმრება და 3 მანათი ჯარიმა. ბ-ნ ხელაძეს განზრახვა აქვს გადაიტანოს აპელაცია ამ საქმეზე.

*** 25 სექტემბერს პოლიციის ბოქაულის თანაშემწემ, ბ-ნმა ვალაბუევმა, კიდევ იპოვნა ბაჟ-გადაუხდელი საქონელი—8 ფუთი ჩაი და 7 ცალიც ბერდანის თოფისა, მთავრობის მიერ ნომერ დასმული. ეს თოფები სწორედ ნაქურდალი უნდა იყოს. ხსენებული საქონელი აღმოუჩენიათ სარქისოვის მაღაზიებში, შუა ბაზარში და ზოგიც ვარანცოვის ხიდის ყურზე.

*** 26 სექტემბერს დამოქნის მოხელეთა გასჩხრიკეს ხოსროევის ქარვასლა, მაგრამ ვერა იპოვეს-რა, თუმცა პოლიციას დიდი ეჭვი ჰქონდა, რომ უთუოდ უნდა ყოფილიყო იქ ბაჟ-გადაუხდელი საქონელიო. ჰფიქრობენ, რომ მეკონტრაბანდეთ ადრევე გაიგეს და სხვაგან მიმალეს საქონელიო.

*** 26 სექტემბერს რიყის ცხენ-მავალას სადგურის ფანჯარასთან ეგდო მკვდარი ძაღლი დილის 7 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდე და გადამგდებელი არსაიდამ გამოჩნდა. ძაღლებსა სწამლეენ, ჰხოცავენ და არ-კი ჰყრიან მაშინვე. კარგს იზავდნენ, ამისთანა უადგილო ჩვეულებაზე ხელი აელებინებინათ, ვისგანაც ჯერ არს.

*** ორთაჭალის მედუქნეებს წელიწადში სამჯერ დაეცემათ ხოლმე ბედი—თელეთობას, წინანაურობას და შავ-ნაბადობას. 27 სექტემბერს შავნაბადობა იყო. მართალია, წელს ხალხი ბლომად მოვიდა თელეთობასა და მეტადრე წინანაურობას, მაგრამ შავნაბადობამ ყველას გადააჭარბა. დილის 6 საათიდამ დაიწყო ხალხმა დენა ისეთის სიმრავლით, რომ ვარანცოვის ქუჩაზე გავლის ილაჯი აღარ იყო. ცხენ-მავალაზე ხომ მეორედ მოსვლა გვეგონებოდათ, ისე სჭყლეტავდნენ ერთმანერთს უადგილობის გამო. ცხენ-მავალას გამგეობამ ამისთანა დღისათვისაც ვერ მოახერხა ერთი ვაგონი მაინც მომეტებული ეტარებინა ორთაჭალის ლიანდაგზე!.. აქ უმისოდაც გზა არ ვარგა და გაჭედილი ვაგონები თითო გზობაზე ოთხჯერა და ხუთჯერ მაინც უნდა გადმოვარდნილიყვნენ რელსებიდამ და თანაც ისე ინჯღრეოდნენ, რომ ბევრით არჩიეს ჩამოსვლა ვაგონიდამ და ქვეითად სიარული, თუმცა ბილეთის ფული მიცემული ჰქონდათ. აბა ამასა ჰქვიან წესი, აი!..

ხალხმა კარგად გაატარა შავ-ნაბადობა, ამინდმაც ხელი შეუწყო. წესიერება და რიგი ჯეროვანად დაიცვეს მეთვალ-ყურეთ, თუმცა ჯიბგირებმა, როგორც ყოველთვის, აქაც თავისი ხელობა არ მოიშალეს, ბევრს შეაჭრეს საათი და ბევრსაც ჯიბიდამ ფულით სავსე ქისები ამოაცალეს. ერთის სიტყვით, წვრილმანი ქურდობა გაჩაღებული იყო შავ-ნაბადობას.

ორთაჭალის ბაღებში ღამის 12 საათამდე არ შეჩერებულა ჟივილ-ხივილი, დროს გატარება და შუშხუნების გრიალი.

*** გუშინ „დრამატიულ საზოგადოების" კრება გადაიდო 4 ოქტომბრისათვის ჩვეულებრივის მიზეზისა გამო: არ მოგროვდა კანონიერი რიცხვი წევრთა!..

*** ქუთაისი: ჩვენი მოლოდინი აღსრულდა. 21-ს ამ თვისას ბათუმიდამ უკვე მობრძანდა ქუთაისში იუსტიციის მინისტრი, ბ-ნი მანასეინი. იშვიათს დიდებულს სტუმარს ვოგზალზე შეეგებნენ ბ-ნი გუბერნატორი, ქალაქის თავი, ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი, უფროსი თავ-მჯდომარე პალატისა და აქაურის ოლქის სასამართლოს თავ-მჯდომარე, ბ-ნი ყაითმაზოვი, ოლქის სასამართლოსავე წევრებით, მომრიგებელ მოსამართლეებით და პროკურორის ამხანაგებითურთ. ბ-ნი მინისტრი მიესალმა ბ-ნს გუბერნატორს, ქალაქის თავს, თავად-აზნაურობის წინამძღოლს და ოლქის სასამართლოს თავ-მჯდომარეს, და ეტლით გაექანა ბინისაკენ. ბ-ნს მინისტრს სახეზე დაღლილობა ეტყობოდა.

გავარდა ხმა, რომ ოლქის სასამართლოში ცხრა საათზე საღამოს მიბრძანდება ბ-ნი მინისტრი, ინახულებს სასამართლოს წარმომადგენლებს და თან მოისმენს რევიზორების მოხსენებასაცაო. რაღა ლაპარაკი უნდა, საღამოს რვა საათიდამ ოლქის სასამართლოს დიდ-ძალი ხალხი მიაწყდა, რომ რუსეთის მართლმსაჯულების წარმომადგენელი ეხილნა...

დანიშნულს დროზე კიდევაც მობრძანდა მინისტრი, შესავალს კარებში მიეგებნენ; სასამართლოში შებრძანდადა შემდეგ-კი, ცხრა საათიდამ მოყოლებული ნაშუა-ღამევის ორს საათამდე, რა მოხდა, ჯერ არა ვიცით-რა.

*** იქიდამვე: 22-ს ამ თვისას ისეთი ძლიერი წვიმა მოვიდა ქუთაისში და იმოდენა წყალიც დადგა, რომ ჩვენს კიდევ გაუკეთებელს ქუჩებზე ნავით სეირნობა შეიძლებოდა. გაკეთებულს ქუჩებზედაც კარგა ძალი მორევი დაგუბდა, ასე რომ ეხლა გამოჩნდა ამ ქუჩების ნაკლი; თხრილები საკმაოდ ღრმა და ფართო არ გაუთხრიათ. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ, როცა სხვა ქუჩების შესწორებას და შეკეთებაი შეუდგებიან.

*** ცხინვალი: ჩვენს დაბაში ცხრაას კომლამდე მცხოვრებელია—ქართველი, სომეხი და ურია. ამოდენა საზოგადოებას ერთად-ერთი ორ-კლასიანი სკოლა აქვს და ისიც ისე პატარა, რომ შეგირდების ტევა არ არის ნ; თუ ამოდენა სოფელს შენობის გაფართოვება უნდა უპირდებოდეს, მაგრამ სომეხი ქართველს არ აძლევს მხარს და ურია სომეხს· სიძუნწოვისა გამო სკოლის საქმე ცუდად მიდის.

*** იქიდამვე: ჩვენს უსუფთაობაზე მრავალჯერ უცნობებიათ გაზეთში, მაგრამ ამითაც დღემდის არა გვეშველა-რა. უსუფთაობას ახლა ისიც დაემატა, რომ საძაგელი სუნი ტრიალებს აგურხანების გამო, რომელიც აქვე ცხვირ-წინა გვაქვს და არავინ არ აუკრძალავს და გარედ არ გაატანინებს ცოტა მოშორებით. მეტადრე დღეს აუცილებლად საჭიროა მათი გაძევება, რადგან ჩვენში რაღაც ავადმყოფობა მძვინვარებს ბავშვთა შორის. ყმაწვილებს აფალარათებს და სიცხეს აძლევს. რამდენიმე ყმაწვილი უკვე იმსხვერპლა. ექიმები ცდილობენ, მაგრამ ვერა გაიგეს-რა ამ ავადმყოფობისა.

*** ჟურნალ „Вѣстникъ Финансовъ"-ის ცნობებით, 1887 წლის პირველ ნახევრის განმავლობაში ბაქოდამ გასულა ევროპიისა და აზიის ქვეყნებში დაუწმენდელი ნავთი 767,000 ფუთი და შარშან-კი იმავე დროს განმავლობაში გასულა 458,000 ფუთი, ხოლო დაწმენდილი ნავთი გასულა 9.103,000 ფუთი წლეულს და შარშან —5.297,000 ფუთი.

*** გაზ. Свѣтъ-ი გვატყობინებს, რომ სხვათა ახალ პროექტთა შორის

---

ში გავდივარ, მარწყვსა ვწყვეტ და ვჭამ! ოჰ, ღმერთო! ღმერთო! ღმერთო! მაგრამ არის ღმერთი სადმე? თუ ხარ სადმე, მიშველე, მომაშორე და გადამარჩინე ამ ჭირს. ღმერთო შეგცოდე, მაპატიე, მიშველე რამე! შემიბრალე და შემიცოდე, უფალო! ოჰ, როგორ ვიტანჯები! როგორ ვეწამები! რა საშინელს წვალებასა და გეემაში ვარ!

15 აგვისტო

სწორედ, სწორედ ამისთანავე მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ჩემი საბრალო ბიძაშვილი, ქ-ნი საბლე, როცა მოვიდა და 2,500 მან. მთხოვა სესხად. ეილამაც დაიმორჩილა, თითქოს იმის გვამში სხვა სული ჩაძვრა და ბრძანებლობა დაიწყოო. ნუ თუ ქვეყნის აღსასრული მოახლოვდა? ისა, რომელიც ჩემი მბრძანებელი და ბატონი გამხდარა, ვინ არის, ვინ არის ეს თვალით დაუნახავი და შეუმჩნეველი არსება, ეს მაწანწალა და მოხეტიალე ზესთა-ბუნებურის ადამიანის ჯიშისა და ჯილაგისა?

მაშ სჩანს, რომ თვალით დაუნახავი და შეუმჩნეველი არსებანიც იმყოფებიან ამ ქვეყნად! მაშ ქვეყნის გაჩენისა და წარღვნიდგან მოკიდებული რატომ არავისა სწვევიან და სჩვენებიან ისე, როგორც ეხლა მე მეწვევიან და მოსვენებას არ მაძლევენ? არასოდეს არ წამიკითხავს, რომ ვისმე დაჰმართნოდეს ისეთი ამბავი, როგორიც ეხლა ჩემს სახლში მემართება. ოჰ, ამ სახლიდგან თავის დაღწევა რომ შემეძლოს, რომ შევიძლო და წავიდე სადმე, აღარასოდეს აღარ დავბრუნდე აქა, გავნთავისუფლდებოდი, მოვრჩებოდი ამ წვალებასა, მაგრამ არა, არ შემიძლიან!

16 აგვისტო

დღეს როგორღაც დავაღწიე თავი, ორის საათით გამოვიპარე, ისე, როგორც ტუსაღი გამოიპარება ხოლმე, როცა შემთხვევით ღია კარებს წააწყდება. ვგრძნობდი, რომ თავისუფალი ვარ და ჩემი მტანჯველი-კი შორს არის, შორს დარჩა ჩემგანა-მეთქი. მაშინვე ვუბრძანე ცხენების-მმართველს, რომ ეტლში ცხენები შეაბი-მეთქი, და რუანში გავწიე. ოჰ, რა ბედნიერებაა, როცა უბრძანებ შენს გამგონე და მორჩილს ადამიანს— „რაც შეიძლება ცხენები გარეკე რუანისაკენაო!"

რუანში წიგნის მაღაზიასთან შევაყენებინე ეტლი, ჩამოვხტი და გერმან გერესტაურის თხზულება ვიყიდე „ძველისა და ახალის დროის კეთილნი და ბოროტნი სულნი".

შემდეგ ეტლში ჩავჯექი, მინდოდა მეთქვა: „რკინის გზის სადგურზედ გასწი"-მეთქი, მაგრამ ამის მაგიერ დავუყვირე, კი არ ვუთხარ—დავუყვირე, და მერე ისეთის მაღალის ხმით დავუყვირე, რომ ქუჩაზე გამვლელ-გამომვლელთაც-კი მოიხედეს და ყურება დამიწყეს, „სახლში წადი"-მეთქი! დავიძახე ეს სიტყვები და სასოწარკვეთილებით დავეცი ეტლში: კვლავ მიპოვნა ჩემმა მტანჯველმა და ბრჭყალები ჩამავლო.

17 აგვისტო

ახ, რა ღამე იყო, რა ღამე! და მაინც მე-კი ისე მგონია, რომ მოხარული უნდა ვიყვე-მეთქი. ღამის პირველს საათამდე ვკითხულობდი! გერმან გერესტაურს, ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების დოქტორს, დაუწერია ისტორია ყველა კეთილ და ბოროტ სულთა, რომელნიც ხორციელ ადამიანს ახლო დაწრწიან, ან თვით ადამიანის მიერ არიან წარმოდგენილნი და ხორც-შესხმულნი. აწერილი აქვს, თუ საიდგან წარმოსდგებიან ეს კეთილნი და ბოროტნი სულნი, რა ღონისა და ძალის პატრონნი არიან, რა ნიშნებით იჩენენ ხოლმე თავსა. ამ აწერილ სულთა შორის არც ერთი არ მიემგზავსება ჩემს მტანჯველსა და მაწამებელს. ღამის ის იფიქროს კაცმა, რომ მას შემდეგ რაც ადამიანი ფიქრობს და აზროვნობს, ჰგრძნობდა, რომ ამ ქვეყნად ჩემს შემდეგ სხვა ჩემზედ ძლიერი არსება უნდა მოვიდეს, ჩემი ადგილი დაიჭიროსო და შიშით თითონვე წარმოიდგინა, ფიქრში ხორცი შეასხა ზესთა-ბუნებურს, საიდუმლოსა და ადამიანის მიერ შეუმჩნეველს არსებასაო.

ვკითხულობდი ამ ამბავს ღამის პირველს საათამდე და შემდეგ ღია ფანჯარასთან მივჯექი, რათა დაღალული შუბლი ღამის ჰაერზე გამეგრილებინა.

მშვენიერი თბილი ჰაერი იდგა. მთვარე არა ჩანდა—ღრუბლებს ამოჰფარებოდა. შავს ცაზედ ვარსკვლავები ჰკრთოდნენ და ციმციმებდნენ. ვინა ცხოვრობს ნეტა ამ ვარსკვლავებზე? რა ნაირი ხორც-შესხმული ადამიანები არიან, როგორი პირუტყვები არსებობენ და რა გვარი მცენარენი ხარობენ? ნეტა იმათ, რომელნიც ცხოვრობენ, ფიქრობენ, სჯიან და აზროვნობენ იქ, იმ შორეულს ცდომილს ვარსკვლავებზე, იციან რამე ისეთი, რაც ჩვენ არ ვიცოდეთ? რითი არიან ჩვენზედ ძლიერნი და შემძლებელნი? ჰხედავენ რასმე ისეთას, რასაც ჩვენ არა ვხედავდეთ? ნეტა ჩამოფრინდება როდისმე, როგორმე და რომელიმე იქ მცხოვრებთაგანი ჩვენს მიწა-წყალზედ, რომ დაგვემარცხოს და დაიმორჩილოს ჩვენი სამშობლო, ისე, როგორც ძველს დროს ნორმანები ზღვას გადასცურავდნენ, რომ თავისზე ულონო და სუსტი ერნი დაემორჩილებინათ და დაემონავებინათ!

ჩვენ რა უძლურნი, სუსტნი, უშემწეონი, უზრდელნი და არა-რა ქმნილებანი ვართ, ჩვენ, რომელიც ამ ციცქნატელა ტალახში ვსცხოვრობთ და ეს ტალახიც ერთს წვეთს წყალში იძვრის და ბრუნავს...

ამ ფიქრსა და ოცნებაში ღამის გრილს ნიავზედ ჩამთვლიმა...

არ გაიარა ორმოცმა წუთმა, რომ თვალები ღია დამრჩა, რაღაცა გამოურკვეველი აღელვება ვიგრძენ და გამოვფხიზლდი. პირველში ვერა შევნიშნე-რა, შემდეგ უეცრად მომეჩვენა, ვითომ ჩემ მიერ სტოლზედ გაშვებულ წიგნში ერთი ფურცელი თავის თავად გადაშლილიყო. ფურცელს ქარი ვერ გადაშლიდა, რადგან ფანჯარაში ნიავიც-კი არ შემოდიოდა. ეს ამბავი გამიკვირდა და ლოდინი დავუწყე. არ გაიარა ოთხმა წუთმა, რომ ვნახე, დიაღ, ჩემის საკუთარის თვალითა ვნახე, მეორე ფურცელიც გადაიშალა ნელ-ნელა, თითქოს ვიღაცის შეუმჩნეველი ხელი წიგნსა ჰფურცლავსო. ჩემი სავარძელი ცარიელი იყო, ცარიელი სჩანდა; მაგრამ მივხვდი, რომ „ის" იქ იყო, ჩემს ადგილას იჯდა და წიგნსა კითხულობდა. ბრაზმა ამიტანა, ცოფმორეულ მხეცივით წამოვხტი და ვეძგერე სავარძელს, რათა დამეჭირა და დამერჩო, მომეკლა, ჩამეძაღლებინა, სული ამომერთო!.. მაგრამ ვიდრე მივაღწევდი, სავარძელი გადაბრუნდა, თითქო შიგ ვინმე იჯდა, წამოვარდა და გაიქცაო... სტოლი შეტოკდა, ლამპარი გადმოვარდა, გაქრა და ფანჯარა მიიხურა, თითქოს ქურდ-ბაცაცას ქურდობაზედ მიასწრეს, ფანჯრიდგან უშველა თავს და ღამის სიბნელეში მიიმალაო.

მაშ სჩანს გაიქცა, ჰა! გაიქცა, ჩემი შეეშინდა, ჩემი... „იმას"! თუ ასეა, მაშ ხვალ... ზეგ... როდისმე... შემიძლიან ხელში ჩავიგდო, ყელში წავუჭირო, დავარჩო... ძაღლები ხომ ჰკბენენ და ხშირად ყელსაც გამოჰგლადრიან ხოლმე სასიკვდილოდ თავის პატრონებს და რატომ მე-კი არ შემიძლიან ასევე მოვექცე ჩემს ბატონსა და მტანჯველს.

18 აგვისტო

მთელი დღევანდელი დღე გუშინდელს ამბავზედა ვფიქრობდი. ჰო, დიაღ ვეცდები იმისი მორჩილი ვიყვე, ყოველივე სურვილი და ბრძანება აღვუსრულო, დავემონო, დავუმორჩილდე ჩემს ბედსა და სვეს. ეხლა ის ღონიერია, ძლიერია ჩემზედ, მაგრამ ჩემი დროც მოვა, ჩემი საათიც დაჰკრავს და მაშინ...

ორ-ანი

(დასასრული შემდეგ)

გარდასახადების შესახებ ფინანსთა სამინისტროს შეუდგენია პროექტი გადასახადისა იმპერიის ქვეშევრდომთა შეძლებისა დაგვარად.

## სახალხო ლექსები

(სოფ. ხიზაბავრაში (ჯავახეთში) გაგონილი და ჩაწერილი იაკობ ლაზარიშვილის მიერ)

შენ კრეკლევ ოქმიანო,
ცხენ მაღალ უნაგრიანო,
შენი ნახოცი ლეკები
ასპინძას ბოლოს ჴურიანო;
ყვავი, ყორანი ლეშსა სჭამს,
კაჭკაჭნი თვალებს სთხრიანო,
ვაი მათ დედის მკლიებსა,
რომ გონჯ ალაგას ჴურიანო.

—

კრეკლემ ცხენს შეუტია,
ხევზე გასადა თქაფანი,—
ხევ-დელე ლეშით აავსო,
ცხენს შეუდება ფაფარი.

## წერილი რედაქციის მიმართ

მას აქედ, რაც ჩვენში მმართებლობის გიმნაზიები და პროგიმნაზიები დაარსდა, ჩვენი თავად-აზნაურთა მოზარდი თაობა ამ სასწავლებლებში იზრდებოდა და დღესაც იქ იზრდება. ისიც მოგეხსენებათ, რომ ამ სასწავლებელში უმაწვილების მიბარება ადვილი არ იყო მსურველთათვის. ვიდრე პირველის კლასის კარი გაეღებოდა მოსწავლეს, მის დედ-მამას, თუ მზრუნველს 500—600 და ხშირად 1,000 მანეთი უნდა დაეხარჯა (ახლაც ასე იქცევა შეძლებული თავად-აზნაური). გიმნაზიები მარტო შეძლებულთათვის შეიქმნა გამოსადეგი, მაგრამ რადგან ამათი შვილებიც აჩქარებით და სულის შებერვით იყვნენ მომზადებულები, მოსწავლეთა უმეტესობა მეორე და მესამე კლასს არ გასცილებია...

ამ გარემოებამ აიძულა ჩვენი თავად-აზნაურობა, რომ რაც მის ბანკებს ტფილისის და ქუთაისისას წმინდა შემოსავალი ექმნებოდა, სრულიად სასწავლებლებისათვის გადაედო, რომლებშიაც ღარიბ თავად-აზნაურთა შვილებს შესძლებოდათ გონივრულად ჯერ დედა-ენაზე და მერე რუსულზე, როგორც პედაგოგია მოითხოვს, მომზადებულიყვნენ საშუალო განათლების შესათვისებლად. დიაღაც დააარსა მან მოსამზადებელი სასწავლებლები ტფილისსა, ქუთაისსა და სენაკში. ამ სასწავლებლებში მომეტებულს ნაწილს ღარიბნი მოსწავლენი შეადგენენ. ამ ჟამად რუსეთის სამოსწავლო უწყებაში ცვლილება მოხდა და დღეს ჩვენი თავად-აზნაურობა უფრო უნდა სცდილობდეს, რომ ერთობილის ძალით რაც ეღონება არ დაუშუროს და თვისი სასწავლებლები ან გარდაჰქმნას ჩვენის ცხოვრების და საჭიროების მოთხოვნილებისა-და გვარად და სხვა სისტემაზე ააგოს, ან იგივენი გააფართოვოს, მაგრამ არც ერთი და არც მეორე უსაშუალებოდ, უფულოდ და უშრომლად თავის ფეხით არ მოვა და არ გაკეთდება.

ფულის დაუშრეტელ წყაროდ და საშუალების საუნჯედ დღეს ჩვენი ბანკები მიაჩნია თავად-აზნაურობას; ზოგიერთს შეუგნებელ აზნაურს ისიცა ჰგონია, რომ ბანკის ფასით ბაბილონის გოდოლიც-კი ადვილად აშენდებაო და სკოლისათვის საჭირო ბანკის მმართველები-კი გულწრფელად გვეუბნებოდნენ და ახლაც გვეუბნებიან—ყველა ჩვენ საჭიროებას არა ჰყოფნის ბანკის შემოსავალიო. დიაღ, მიხვდა გონიერი ნაწილი საზოგადოებისა ამას და ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ უკვე გაიწერა სასკოლო გადასახადი, თუმცა ამის სისრულეში მოყვანა ჯერ ცხრა კლიტულშია და ისე ფეხ-მძიმედ მიდის, როგორც ყოველი ჩვენი საქმე. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქმე სანატრელად დაბოლოვდება.

ამავე განზრახვით სენაკის მაზრის თავად-აზნაურთაც განიგულეს ადგილობრივ სასწავლებლისათვის სახლის აშენება. სიმართლეს თავი არა სტკივაო, ნათქვამია. გარეგნობით საქმე საუკეთესოდ მოეწყო. განსვენებულმა ბახვა ფაღავამ, თავად-აზნაურთა წინამძღოლმა, წერილით სთხოვა მაზრის უფროსს, ბ-ნ ბებურიშვილს: რადგანაც მე მოხუცებულობის გამო ვერ ძალ-მიძს ამ საქმის შესაფერი შრომა გავსწიო, თქვენ იკისრეთ და საქმე დააბოლოვეთო. ბ-ნ ბებურიშვილი წინადაც თაობდა ამ საქმეს და ხსენებულის წერილის შემდეგ გამოითხოვა გუბერნატორისაგან აზნაურთ ყრილობის ნება. მოხდა ორჯელ კრება. ორჯელვე განჩინება დაიწერა; უზომო სურვილი გამოაცხადეს სახლის აშენებისა. მიეწერა მაზრის ბოქაულებს და არჩეულს თავად-აზნაურებს, რომ ხელი მოეწერათ შეწირულებათა სიაზე. ჩემთან ერთად ჩამოიარა მაზრის უფროსმა ვაკე ნაწილი მაზრისა, საჯუონდიდლო, საჭილაო, ჯუღევ-აბედათი და ბანძა-სენაკი. თითოეულმა შემოსწირეს 15, 12, 10, 8 და 6 მანეთი. მაგრამ როცა ფულის შემოტანის დრო დადგა, ზოგიერთებს გაუძნელდათ გამომეტება, რასაკვირველია, იმის გამო, რომ ჩვენ გარდასახადს მიჩვეულნი არა ვართ და ყოველი მიუჩვეველი საქმე პირველად გვეჩოთირება.

ჩვენ გვჯერა, ხომ მომავალში ამისთანა მიზეზებს ადგილი არ ექმნება...

სენაკის მაზრის თავად-აზნაურთა საცნობლად ვაცხადებ, ვისაც რამდენი შემოუტანია პირადად ჩემთან და ვისაც აქვს მიცემული ბარათები ბესარიონ ქავთარაძის საბოქაულოში.

### სია შემომწირველთა:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| მელიტონ კაციას ძე დადიანი | 100— | „ |
| რევაზ ნაჭყეპია | 10— | „ |
| გიგო ნიკოს ძე დიდია | 15— | „ |
| პროკოპი საბაშვილი | 15— | „ |
| სოლომონ საბაშვილი | 10— | „ |
| ტარიელ ანჯაფარიძე | 8— | „ |
| მერაბ ჯოლია | 8— | „ |
| იულონ დგებუაძე | 10— | „ |
| ჯათუ მელია | 15— | „ |
| ალექსი მელია | 15— | „ |
| სოკრატე მელია | 10— | „ |
| კოსტა ჯოლია | 15— | „ |
| ბეყან ფარულავა | 10— | „ |
| ლევან ლეჟავა | 10— | „ |
| ბესარიონ კიზირია | 15— | „ |
| ტალა მაჯანგალაძე | 8— | „ |
| ბეყან ნაჭყეპია | 6— | „ |
| ხოსია მაჯანგალაძე | 8— | „ |
| გოჯო გაგუა | 10— | „ |
| გრიგოლ თოფურიძე | 5— | „ |
| გვადა თოფურიძე | 5— | „ |
| ხახუ ჯოლია | 8— | „ |
| ერისთო გაგუა | 10— | „ |
| ალექსანდრე გ. ჩიჩუა | 10— | „ |
| ნიკო ნორაკიძე | 6— | „ |
| გიორგი მასხარაშვილი | 10— | „ |
| დუტუ ალექ. ფაღავა | 5— | „ |
| ბლაღოჩინი მ. გიორგი ბერიძე | 25— | „ |
| თომა ნიკოს ძე გაგუა | 6— | „ |
| მეთოდე ლეჟავა | 6— | „ |
| სამსონ ბ. ფაღავა | 3— | „ |
| გიორგი ქ. მხეიძე | 3— | „ |
| გლახუა ბ. ჯაიანი | 6— | „ |
| პეტრე ტ. გამსახურდია | 5— | „ |
| მერაბ კ. გამსახურდია | 5— | „ |
| სისო დ. დგებუაძე | 3— | „ |
| მღვდელი პ. გეგენავა | 10— | „ |
| კოსტა ფარელუა | 5— | „ |
| ალექსი ჩარკვიანი | 3— | „ |
| თემუყვა გეგენავა | 4— | „ |
| უშანგი გეგენავა | 3— | „ |
| პეტრე ჩხეტია | 3— | „ |
| კოსტა ჯულია | 5— | „ |
| ნოჩო ადამია | 3— | „ |
| ივლიანე ჯოლია | 4— | „ |
| ბეგო ადამია | 5— | „ |
| ბახვა ყვანია | 4— | „ |
| სპირიდონ ტ. ყვანია | 2— | 50 |
| დუტუ ქ. ნინუა | 5— | „ |
| ოქროპირ ქ. ნინუა | 2— | 50 |
| ალექსი ყვანია | 3— | „ |
| ბესარიონ პ. ელიავა | 3— | „ |
| ბესო თეოს ძე გაგუა | 10— | „ |
| ზურაბ კიზირია | 3— | „ |
| ერისთო კიზირია | 3— | „ |
| პავლე გ. კიზირია | 3— | „ |
| ნიტუ ნ. დგებუაძე | 3— | „ |
| ფარნაოზ კ. კიზირია | 3— | „ |
| ზურაბ მ. კიზირია | 3— | „ |
| მანუჩარ წირღვავა | 4— | „ |
| ფილიპე გ. კიზირია | 3— | „ |
| გიორგი გ. ფაღავა | 4— | „ |
| იაგორ სოფრ. კიზირია | 5— | „ |
| პეტრე ივ. კუპრეიშვილი | 20— | „ |
| ნიკო მ. მელია | 3— | „ |
| გიგო მ. მელია | 4— | „ |
| პავლე დ. მელია | 3— | „ |
| ალექსი ლ. იმედეიშვილი | 4— | „ |
| ფარნა ოტ. იმედეიშვილი | 3— | „ |
| თემურაზ დ. ფარელუა | 5— | „ |
| ჯათუ გეგენავა | 3— | „ |
| მეორე გილდიის ვაჭარი ს. ჭუბაბრია | 100— | „ |
| სულ | 670— | „ |

ზემო აღნიშნულნი კაცნი ჩაწერილნი არიან „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობისაგან დავთარში და ფული შენახულია ბანკში.

ვაცხადებ რა ამ სიას, უმორჩილესად ვსთხოვ საზოგადოებისაგან აღმორჩეულ თავად-აზნაურთ და ბოქაულს, ბ-ნს ბესარიონ ქავთარაძეს, რომ დანარჩენი ფული ხელის-მომწერთაგან თუ ვისმეს ხელად აქვს მიღებული, მიბოძონ და ბარათები მიიღონ.

სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი
სამსონ ყიფიანი.

# უცხოეთი

**ბოლგარეთი.** სოფიაში ხმა დადისო, სწერენ დეპეშ-თ „Новости“-ს, რომ ვითომ ოსმალეთს განზრახვა აქვს ბალკანის მთების ვიწროებში ჩააყენოს თავისი ჯარებიო.

— „Temps“-ი სწერს: ბოლგარიის მთავრობა ამბობს, რომ გერმანია ისე მრისხანედ აღარ ეკიდება ჩვენს ქვეყანას, ახლა ცოტა არ იყოს მოგვიტკბაო.

— ოსმალეთი იმ აზრისაა, რომ საერთაშორისო კომისია შესდგეს და გაიგზავნოს სოფიაში ბოლგარიის საქმის გადასაწყვეტად. თუ რუსეთი თანხმა გახდა ამაზე, ოსმალეთი ამ საქმის გარემოებას მასწერს ყველა იმ დიდ სახელმწიფოებსაც, რომელთაც ბერლინის ტრაქტატზე უწერიათ ხელიო.

— ბოლგარიის მთავრობისათვის მხარი მიუცია ავსტრიისას და ორთავეს ერთად ძალა დაუტანებიათ რუმინიის მთავრობისათვის, რომ მან განდევნოს ბოლგარეთიდამ გადახვეწილნი და რუმინიაში შეხიზნულნიო.

— გაზ. „Свобода“ სწერს საერთაშორისო კომისიის თაობაზედ: იმის შემდეგ, რაც ამ ბოლოს დროს მოხდა, ოსმალეთის სახელმწიფო კაცების დარიგებას აღარა ვსაჭიროებთ. ბოლგარნი აღარ უარ-ჰყოფენ იმას, რაც ერთხელ მოიქმედეს. ჩვენ არას გზით, არავითარის პირობით და არავითარის სახით არ ვიყაბულებთ, რომ უცხო სახელმწიფო ერიოს ჩვენს საქმეებში, და არც უცხოელთ კომისიას მივიღებთო.

**სერბია.** რისტიჩის მეუღლეს უნახავს ბადენბადენში სერბიის დედოფალი ნატალია. დედოფალს უთქვამს: მე ძალიან მოხარული ვარ, რომ სამინისტრომ გაიმარჯვა არჩევნების დროსაო.

— რისტიჩის მომხრეთა გამარჯვებას ავსტრიის დიპლომატიას ვერაფრად მოსწონს. გაზეთები ავსტრიისა ძალიან სწუხან, რომ ახალს სკუპშჩინაში ერთი მომხრე არ იქმნება ავსტრიისაო. მიზეზი იმისი, რომ სერბიამ ასე ზურგი შეაქცია ავსტრიას, ის არის, რომ ავსტრია ეკონომიურად ძალიან სჩაგრავდა სერბიელებსაო. საჭიროა, რომ ასეთივე საქმე არ დაგვემართოს ბოლგარეთშიაცაო.

**იტალია.** გაზ. „Новости“-ს სწერენ დეპეშით რომიდამ, რომ აქ ძალიან გვიან გაიგეს კრისპის წასვლა ფრიდრიხსრუეში, რადგან მთავრობა ამ ამბავს დიდხანს არ ამხელდაო. როცა გაიგეს, როგორც იყო საქმე, ისე აღელდნენ, რომ კინაღამ უწესოება არ მოხდაო. ერთს მოედანზე შეიკრიბა ხალხი და ჰყვიროდა: „არ გვინდა კრისპი“, „არ გვინდაო“! ამ არეულობაში მონაწილეობა მიიღეს მაღალ-სასწავლებლების სტუდენტებმაო.

— კრისპის გაზეთი „Riforma“ ამბობს, რომ საფრანგეთს იტალიის ფიქრი არ უნდა ჰქონდესო. „არ არის ისეთი ქვეყანა, ისეთი ერი, რომელსაც უფრო მეტად უყვარდეს საფრანგეთი, ვიდრე უყვარს იტალიასა და იტალიის ერსაო“.

**ავსტრია.** ავსტრიის ჟურნალ-გაზეთობა ძალიან დაუფიქრებია ვენგრიაში წარმოთქმულის სეფე-სიტყვის ბოლოს, რომელიც შეეხება გარეშე პოლიტიკას. გაზეთები ამბობენ, რომ, როგორც საქმეს ვატყობთ, კვლავ ფული იქმნება საჭირო სამხედრო სამზადისისათვისაო.

— „Journal des Debats“ ამბობს, რომ ავსტრიის ერც-ჰერცოგმა ალბრეხტმა ინახულა სინაიაში რუმინიის მეფე-დედოფალიო. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ავსტრია და რუმინია კარგს განწყობილებაში არიან ამ ჟამად, რაიცა დიდად სასარგებლოა ავსტრიისათვისაო.

— ავსტრიისა და ვენგრიის გაზეთები სიხარულით ცას დაეწივნენ, როცა გაიგეს, რომ კრისპი ფრიდრიხსრუეში წავიდა ბისმარკთან მოსალაპარაკებლადაო.

## წვრილი ამბები

— გაზ. „Temps“-ი ამბობს, რომ მადაგასკარზე დიდ-ძალი ოქროს მადნები აღმოუჩენიათო.

— „პარიჟის „Peré Lachaise“-ში აშენებენ სადგომს გარდაცვალებულ გვამთა დასაწველად.

— 9 სექტემბრიდგან მესხინში 3,000 კაცი გამხდარა ხოლერით ავად და 1,000-მდე გარდაცვლილა. ბოლოს ცნობები მოსულა, რომ ჭირი უფრო და უფრო ძლიერდებაო. ორთა შუა რიცხვით დღეში ასი კაცი ხდება ავად და ორმოცი კვდება. ყველა ჭები და აუზები დასურულია თურმე და მკვიდრთ მოდუღებულს წყალს ასმევენ.

— ილდიზ-კიოსკში, გაზ. „Revue de l'Orient“-ის სიტყვით, ოსმალეთის სამეფო სახლობის ოთხის პრინცესსასათვის მზითევს ამზადებენ. ერთი სულთან აბდულ-ჰამიდის ქალია და მეორე მისდევს ოსმან-ფაშის შვილს, პლევნის გმირსა. დანარჩენი სამი პრინცესსა აბდულ-აზისის ქალები არიან და სთხოვდებიან სხვა-და-სხვა ოსმალეთის წარჩინებულ კაცებზე.

— სტამბოლში გარდაცვლილა 87 წლის მოხუცი, გამოჩენილი არაბთა პოეტი და მწერალი, ახმედ ფარი-ეფენდი.

— ესსენის ერთს თეატრის თაყვანისმცემელს თავის სამშობლო ქალაქისათვის უჩუქებია თეატრის ასაშენებლად 250,000 მანათი.

— გაზ. „Enqeneering“-ის აღრიცხვით და გამოანგარიშებით, მთელს ქვეყანაზე წარსულს წელს 9,969 ორთქლით-მავალი გემი ყოფილა. ამ რიცხვში 5,792 გემი ინგლისს ეკუთვნის, გერმანიას—579, საფრანგეთს—509, ისპანიას—401, ამერიკას—400, ნორვეგიას—287, რუსეთს—212, დანიას—200, იტალიას—173, გოლანდიას—152, ბრაზილიას—141, იაპონიას—105, საბერძნეთს—82, ოსმალეთსაც—82 და ბელგიას—68. წარსულ წლებთან შედარებით ორთქლით მავალ გემთა რიცხვს 327-ით უმატნია.

— რკინის კანცლერს თავის დღეობის დღესასწაულზე რკინის საჩუქარი მიუღია. ლორდ რენდოლს, დიდს პატივისა და თაყვანის მცემელს ბისმარკისას, ახირებული საჩუქარი გაუგზავნია ბისმარკისათვის. გაუხსნიათ მიღებული ყუთი გერმანიის რკინის კანცლერს 25-ის წლის იუბილეიაზედ. ყუთში ჩაწყობილი ყოფილა სამწერლო სტოლი სულ ზარბაზნების ყუმბარისაგან შედგენილი. ამ ახირებულის საჩუქრის დანახვაზე ბისმარკს უთქვამს: «ღვთის სურვილი ის არის, რომ ზარბაზნის ყუმბარები დღეიდგან სამშვიდობო საქმისათვის გამოვიყენოთ».

— საკვირველი ამბავი: წარმოდგენა გაუმართავთ კაცის-მკვლელის სასარგებლოდ. «Teatre Yittorio Emanuele»-ში წარმოდგენა გაუმართავთ და ამ წარმოდგენის მთელი შემოსავალი უნდა გადიდოს სასარგებლოდ ავგუსტ ცომილლისა, რომლისათვისაც ამას წინად 20-ის წლით კატორგაში გაგზავნა გადაუწყვეტიათ კაცის-მკვლელობისათვის. საქმე ამაშია, რომ ერის ხმა ავგუსტს ამ დანაშაულობაში მონაწილედ არა სთვლის თურმე.

— წლევანდელი წელიწადი ინგლისისათვის საუბილეო წელიწადია. იმას გარდა, რომ დედოფალ ვიქტორიას 50-ის წლის იუბილეი ედღესასწაულეს, იდღესასწაულეს აგრეთვე 50-ის წლის დღეობა ელექტრონით დეპეშათა გაგზავნის შემოღებისა, აგრ 200 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც პირველად გამოქვეყნებულ იქმნა ნიუტონის თხზულება: «Philosophiae naturalis principia mathematica», რომელიც სულ პირველად 1687 წელს დაბეჭდილა.

— ამერიკის გაზეთების სიტყვით, სამს მცირე-წლოვანს ყმაწვილს გადაურჩენიათ ამას წინად მატარებელი უბედურობისაგან. მატარებელი მიდიოდა თურმე კალგოუნსა და ვინდზორს შორის; მემაშინეს უეცრად დაუნახავს, რომ შორიდგან რაღაცა ცეცხლი მოჩანს და სამი პატარა ყმაწვილი ანთებულს ფიჩხებს იქნევენ. მატარებელი შეუყენებიათ, გამოუკითხავთ, რა ამბავი მოხდაო, და აღმოჩენილა, რომ იქვე რკინის ხიდზე რელსებს შუა ცხენი გასდართულა. ცხენი გაუნთავისუფლებიათ და მატარებელს მშვიდობიანად გაუვლია ხიდზედ. ერთი ყმაწვილი 11 წლისა ყოფილა, მეორე—8-სა და მესამე-კი სულ 3-სა. ეს უმცროსაც ანთებულს ფიჩხს იქნევდა თურმე.

## გასართობი

პარიჟში ამ ჟამად დიდი აყალ-მაყალი და მითქმა-მოთქმაა გამართული ერთს ამ-

ბაჟზე. ამ ამბავის გმირი ერთი სენატორია, გამოჩენილი სახელმწიფო კაცი. ამ კაცს ერთი სახელ-გატეხილი ქალი ჰყვარებია, ამ საყვარელს მშვენივრად ინახავდა და მშვენიერი სახლები ეჭირა თურმე იმისთვის. ამ პოლიტიკოსის მოტყუებულს ცოლს გაუგია ეს ამბავი, თმები შეუკრეჭია, გადაუცვამს რუმინელ სტუდენტის ტანისამოსი და ერთი ოთახი დაუჭერია იმ სახლებში, სადაც იმის ქმრის საყვარელი მდგარა. როცა სენატორი მისულა თავის საყვარელთან, იქვე უნახავს ზემოხსენებული სტუდენტი, უცვნია და... რაღა და? ეხლა ცოლ-ქმარნი განქორწინებასა ცდილობენ თურმე.

**

ერთს მოძღვარს ლონდონის ეკკლესიისას, რომელშიაც უმეტესად უფრო კეთილშობილნი დაიარებიან, ამას წინად ძალიან გაუნაწყენებია და გაუჯავრებია თავისი მრევლი. ეს მოძღვარი ყველას უყვარდა და ყველას მიერ თაყვან-ცემული იყო თურმე. მოძღვარს ამოურჩევია პეტრე მოციქულის სიტყვები იესოსადმი მიმართული: უფალო, მთელს ღამეს ვესროდით ბადეს, მაგრამ ვერა-რა დავიჭირეთო,—და ამ სიტყვებზე აუშენებია მთელი თავისი მოძღვრება-ქადაგება. მოძღვარს უთქვამს, რომ ამავე სიტყვებს იმეორებენ ხოლმე ეხლა ჩვენი ქალებიო. მთელს ღამეს დაეთრევიან გასათხოვარი ქალები ერთის ბალიდგან მეორე ბალში და მეორე დღეს, დილით, თუ ამ თრევამ არა უშველათ-რა, იტყვიან ხოლმე: მთელს ღამეს ვესროდით ბადეს, მაგრამ ვერა-რა დავიჭირეთო. ქალებს ძალიანა სწყენიათ ეს ქადაგება. ერთს ქალს, ამ მოძღვარის მრევლთაგანს, დაუბეჭდვინებია გაზეთში წერილი და ამბობს: იმის მაგიერ, რომ მოძღვარი მადლობას უცხადებდეს ქალებს, რომელნიც თავის დაბინავებასა ცდილობენ და გათხოვებას არიან მოწადინებულნიო, პირ-იქით, მოძღვარი კათედრიდგან ჰკიცხავს ამისთანა ქალებსაო.

სწორედ მოგახსენოთ, ლონდონში ძალიან ჭკვიანი და გონიერი მღვდლები ყოფილან!

# დეპეშა

### 26 სექტემბერი

პეტერბურგი. მხატვრობის პროფესორს აივაზოვსკის ებოძა ორდენი წმ. ვლადიმერისა მე-2 ხარისხისა 50 წლის სასარგებლო მოღვაწეობისათვის სამხატვრო ასპარეზზე.

ხელოვნებათა აკადემიამ იდღესასწაულა დღეს აივაზოვსკის 50 წლის იუბილეი. დიდს დარბაზში იუბილიარის სახე - ქანდაკება იყო გამოდგმული, ყვავილებითა და მწვანით შემკული. დღესასწაული იმით დაიწყო, რომ დიდმმთავარმა ვლადიმირა ალექსანდრესძემ უბოძა იუბილიარს ორდენი წმ. ვლადიმერისა და სეკრეტარმა ისეევმა წაიკითხა ადრესი აკადემიისა. ამ ადრესში ეწერა, რომ აივაზოვსკი არჩეულია აკადემიის საპატიო წევრად და ამას გარდა ოქროს მენდალი უბოძა აკადემიამაო. როცა ეს ადგილი იქმნა წაკითხული, ყველანი ფეხზედ წამოდგნენ, მემუსიკეთ „ტუში“ დაუკრეს. დიდმა მთავარმა გარდასცა იუბილიარს დიპლომი და მენდალი. იუბილეის მისალოცავად 13 დეპუტაცია იყო მოსული, წიგნები და დეპეშები ბევრი მოვიდა, ზოგი მათგანი გვირგვინოსანთა და უცხოელთ აკადემიებისაგან იყო გამოგზავნილი. დღესასწაული გათავდა და დამსწრენი სადილად დასხდნენ ხელოვნებათა კლუბის წინანდელს დარბაზში, რომელიც მორთული იყო ზღვის სხვა-და-სხვა კუთვნილებებითა. სადილზე როცა წარმოითქვა, ვისურვოთ აყვავებულიყოს ხელოვნებაო, გამოჩნდა ცნობილი სურათი „აპოთეოზი“.

დღეს იუბილიარის ნიჭის თაყვანის-მცემელთ ცალკე გაუმართეს სადილი აივაზოვსკის. იუბილიარმა უძღვნა პეტერბურგის სომეხთ ეკკლესიას დიდი სურათი „წყალზედ მოსიარულე ქრისტე“.

„Journal de St.-Petersbourg“-ი ამბობს „ჩრდილო-გერმანიის გაზეთის შენიშვნის გამო, რომელიც დაწერილი იყო ბისმარკისა და კრისპის მიერ ერთმანერთის ნახვის თაობაზე: რასაკვირველია ო,—ამბობს გაზეთი,—რომ უმეტესი ნაწილი ევროპიელ ერთა და ყველა მთავრობანი მოუკლებლივ მოსურნენი არიან მშვიდობიანობისა, მაგრამ ისეთი მშვიდობიანობა-კი ჰსურთ, რომელიც დაფუძნებულია სხვათა უფლების პატივის-ცემაზედ და რომელიც მოხსენებულია ხელ-შეკრულობაში, ამ საერთა-შორისო უფლების საგანძეში. მაშასადამე ყველა საქმეში, თუ გინდათ რომ ეს საქმე ახალი საბუთი იყოს მშვიდობიანობის სურვილისა, საჭიროა დავიცვათ ეს უფლება და აღვადგინოთ, უკეთუ დარღვეულია სადმე იგი. უეჭველია, ეს საგანი სწორედ ასევე ეყურება „ჩრდილო-გერმანიის გაზეთსაც“.

როგორც „Русскій Инвалидъ“-ს გაუგონია, ეიუბ-ხანი მისულა გაზნის—გილზაების ქალაქში. გილზაები ხომ მეთაურნი არიან ემირის წინააღმდეგ აჯანყებულთა. ეიუბ-ხანის მისვლამ გაზნის ძალიან დიდი ზედ-მოქმედება იქონია ავღანისტანის საქმეებზედაო.

ამბად გამოვიდა, რომ შემუშავებულია ახალი წესდება გზათა ინსტიტუტისა და ძალაში შევა 1888 წელსაო: რიცხვი სტუდენტებისა 300 უნდა იყოს; ფასი სწავლისა 100 მან. წელიწადში; თავისუფლად მსმენელთა მიღება აღკრძალული იქმნებაო.

პარიჟი. გერმანიის ელჩმა ჩააბარა დღეს ფლურანსს 5,000 მარკა სამზღვარზე მოკლულის მწერლის ბარინიონის ქვრივისათვის გარდასაცემად.

სამხედრო სამინისტროში მყოფ გენერალ კოფფორელზე ეჭვი აიღეს, რომ ვითომ ჰყიდდა ორდენებს და გაამჟღავნა მობილიზაციის ამბებიო, და დაპატიმრებულ იქმნა.

რადგან მაროკკოს ხონთქრის გარდაცვალება უეჭველია, ამიტომ იქ ერთმანერთს ექიშპებიან უმეტესის გავლენის მოსაპოვებლად საფრანგეთი, ისპანია და იტალიაო; მაროკკოს ზღვებში მალე გაჩნდება გემები ამ სახელმწიფოებისაო.

### 27 სექტემბერი

პენზა. დღეს გათავდა სამხედრო სასამართლოში საქმე ქ-ბ-ნ ტურკოვის მამულების მოურავის სტანისლავსკის მკვლელობისა. სტანისლავსკის მოკვლა [illegible] გლეხებს. 30 ბრალდებულთა შორის 14 დამნაშავედ იქმნა ცნობილი განძრახ ჩადენილის კაცის კვლისათვის და გადაუწყვიტეს: აეხადოთ ყველა უფლება და ჩამორჩობილ იქმნანო. მამასახლისსა და სოფლის მნათეს ის ჩასთვლიათ დანაშაულობად, რომ ხელი არ გააწძრიეს კაცის-კვლის ასაცილებლად. ამათ სასამართლომ განუჩინა: აეხადოთ ყოველივე ღირსება და საარესტანტო განყოფილებაში იქმნენ მიცემულნი, პირველი $3^1/_2$ წლით, ხოლო მეორე—3 წლითაო. დანარჩენნი განთავისუფლებულ იქმნენ. სამოქალაქო მომჩივანს ნება მიეცა ეძიოს თავისი სამოქალაქო წესისაებრ.

### 28 სექტემბერი

პეტერბურგი. სატამოჟნო გადასახადების დეპარტამენტის ცირკულიარის ძალით 25 სექტემბრიდამ ნება-დართულ იქმნა სატამოჟნო ბაჟის ფულში მიიღონ ხოლმე მიმდინარე კუპონები საადგილ-მამულო საურთიერთო ნდობის საზოგადოების $4^1/_2$%-ან გირავნობის ფურცლებისა, ოქროს ფულით ნაანგარიშებულებისა; ამას გარდა ნება-დართულია მიიღონ ხოლმე თვით ის გირავნობის ფურცელნიც, რომელნიც ტირაჟში არიან გამოსულნი.

როგორც „Новое Время“ გვაუწყებს, ფინანსთა სამინისტროში დაუწყვია მუშაობა ცალკე კომისიას, რომელმაც უნდა განიხილოს საქმე წუმწუმის წარმოებაზე ბაჟის დაწესებისა; იმავე სამინისტროში მუშაობენ სხვა ცალკე კომისიები, რომელთაც მინდობილი აქვთ განიხილონ საქმე ბაჟის დაწესებისა დაწმენდილს ნავთსა და სტეარინზე.

„Новое Время“-ს აუწყებენ აგრეთვე, რომ ვითომ განზრახვა აქვთ მოუმატონ ბაჟი იმ მარილზე, რომელიც სამზღვარ-გარეთიდამ შემოაქვთ რუსეთშიო.

რეველი. აქ მობრძანდა დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრესძე.

ოდესსა. რუსეთის ელჩი სტამბოლში წავიდა კვლავ თავის თანამდებობის შესასრულებლად.

პარიჟი. გუშინ, როცა მონსში ბუნების-მეტყველ ბელონისათვის ძეგლის ამართვას დღესასწაულობდნენ, მოვიდა მოლოცვის დეპეშა მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის პავლოვისა. როცა დეპეშის კითხვა დაიწყეს, ხალხმა და საზოგადოებამ დაიწყო ყვირილი: „გაუმარჯოს რუსეთსაო“!

სოფია. არჩევნები უკვე დაიწყო; სოფიაში არჩეულ იქმნენ მთავრობის კანდიდატები, მათ რიცხვში სტამბულოვი და სტრანსკი; საზოგადოდ მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა გამო არჩეულნი არიან ჯერ, მხოლოდ მისი კანდიდატები. საარჩევნო ხრიკები და სისხლის ღვრა ბევრი ხდება, მეტადრე სოფლად.

### პეტერბურგის ბირჟა, 25-ს სექტემბერს
### ფასები:

| | მყიდველ-ნისა | გამყიდ-ველისა | გარიგე-ბისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 8 90 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | 178 |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — » | — » | 1 30 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — » | — » | $271^1/_2$ |
| — მეორისა . . . . . | — » | — » | $249^1/_4$ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — » | $99^1/_2$ | — » |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — » | $99^1/_2$ | — » |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . , . | — » | $83^3/_4$ | — » |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

### სექტემბერი 30 დღით არის.

**29 დღე ხამშაბათი.** ღირს. კირიაკესი და მოწყალე იოვანესი. კათოლ. მიხეილ მთავარ-ანგელოზისა. სომეხ. წმ. ევსტათესი, მეუღლისა თეოფიტესა, ორთა ძეთა და სხ. მუსულ. მე-24 რიცხვი თთვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—7, ჩადის 5—25. მთვარე 25 დღისაა.

**30 დღე ოთხშაბათი.** წმ. გრიგოლ განმანათლებელისა სომეხთა და წმ. ქალწ.-მოწ. რიფსიმიან გაიანიანთი. კათოლ. წმ. ალმსაარ. გერონიმესი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-25 რიცხვი თთვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—9, ჩადის 5—24. მთვარე 26 დღისაა.

### ოქტომბერი 31 დღით არის

**1 დღე ხუთშაბათი.** წმ. ღვთის-მშობლის საფარველისა და წმ. მოციქ. ანანიასი. დღესასწაული უფლის კვართისა. კათ. წმ. ეპ. რემიგიასი. სომეხ. წმ. თავადთა საკასა და ჰამაზასპისა. მუსულმ. მე-26 რიცხვი თთვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—დაარსდა ტფილისში სასულიერო სემინარია, 1817 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—10, ჩადის 5—22. მთვარე 27 დღისაა.

**2 დღე პარასკევი.** მოწ. კიპრიანესი, ქალწ.-მოწ. იუსტინასი, წმ. დავითისა და კონსტანტინესი. კათოლ. ღვთის-მსახურება იესო ქრისტეს ტანჯვასა და წყლულებაზედ. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-27 რიცხვი თთვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—11, ჩადის 5—21. მთვარე 28 დღისაა.

**3 დღე შაბათი.** წმ. დიონოს არეოპაგელისა და ღირსის იოანე ხოზეველისა. სომეხ. წმ. 72 მოწაფეთა ქრისტესა. მუსულ. მე-28 რიცხვი თთვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—12, ჩადის 5—18. მთვარე 29 დღისაა.

**4 დღე კვირა.** მოწ. იეროთეოსი. კათოლ. დღესასწაული წმ. როზარიასი, წმ. ქალწულის მარიამისა და წმ. ალმს. ფრანცისკესი. მუსულ. მე-29 რიცხვი თთვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—13, ჩადის 5—17. მთვარე 30 დღისაა.


### კერძო განცხადებანი

ნაფიცი ვექილი

სერგეი ვასილისძე ჩემესოვი

გადავიდა არსენალის ქუჩაზედ, გერბუნოვის სახლებში, მე-66 №-ში, ძველის კრუჟოკის უკან. (6—1)



ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ქილილა და დამანა. ვახტანგ მე-6 ქესისა . . . . . . . | 3 | » |
| ვისრამიანი, სარგის თმოგველისა. | 1 | 50 |
| სიბრძნე-სიცრუეე, საბა-სულხან ორბელიანისა . . . . . | » | 50 |
| დავითიანი, დავით გურამიშვილისა . . . . . . . . | 1 | » |
| თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულიშვილისა . . . . . | 1 | » |
| ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა . . . . . . . | » | 50 |
| ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა. | » | 30 |
| თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა. | » | 40 |
| მეჯლანუაშვილი, არდაზიანისა . | » | 30 |
| დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა . . . . . . . | » | 20 |
| რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. . . | » | 10 |
| სურამის ციხე, ჭონქაძისა . . | » | 20 |
| ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. . . | » | 30 |
| თხზულებანი, რაფიელ ერისთავისა. | » | 1 |
| ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა. | » | 20 |
| ქართული გამოცანები, რაფიელ ერისთავისა. . . . . . | » | 5 |
| იგავ-არაკი, რაფიელ ერისთავისა. | » | 25 |
| განკიცხული, მოხხუბარიძისა . | » | 50 |
| ციკო, მისივე. . . . . . , . | » | 30 |
| პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა . . . . . . . | » | 10 |
| მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ყიფიანისა . . . . . . . | » | 10 |
| ბაგრატ მეოთხე, მისივე. . . | » | 20 |
| მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე . . . . . . . | » | 10 |
| ვახტანგ მეექვსე, მისივე. . . | » | 1 |
| დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. . . . | » | 51 |
| არითმეტიკა, დიდებულიძისა. . | » | 50 |
| არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. . . . | » | 5 |
| წითელი ფარანი, თარგმანი. . | » | 15 |
| ზაფხული, ჯიუღელის რედაქციით. | » | 2 |
| ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა . . . . . . . . | » | 10 |
| ამბები ყრმათათვის, ან. ჯუღელისა | » | 5 |
| არსენას ლექსი . . . . . . | » | 5 |
| ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგმანი. . . . . . . . . | » | 15 |
| ქართული ანდაზები. . . . . | » | 10 |
| თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭიჭინაძისა . . . . . . . . | » | 4 |
| ირა ლი მერ ის გლოვა . . . | » | 5 |
| ალი, ნ. ლომოურისა . . . . | » | 30 |
| დრო არის საქმეს შეუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა. . . . . . | » | 20 |
| ალმანახი, გ. თუმანიშვილისა . | » | 40 |
| სტეფენსონი, ბარბარე თუმანიშვილისა . . . . . . . | » | 5 |
| მოძღვარი, ალ. ყაზბეგისა . . | 1 | » |
| თხზულებანი, მისივე სხ. I. . | » | 60 |
| რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა . . . . . . . | » | 30 |

~~~

ახლად შეძენილია და ისყიდება საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზე, სარაჯოვის სახლში (Дворцовая ул., домъ Сараджева) შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დედა-ენა, ი. გოგებაშვილისა . | „ | 30 |
| ბუნების კარი, მისივე . . . | „ | 75 |
| კოკორი, მისივე . . . . . | „ | 10 |
| კონა, მისივე . . . . . . | „ | 50 |
| ხომლი, მისივე . . . . . . | „ | 50 |
| კუნწულა, მისივე . . . . . | „ | 30 |
| ღედა, მისივე . . . . . . | | [illegible] |
| მალვან თავ-გარდასავალი, გ. წ. | „ | 20 |


Доз. цен. Тиф. 28 сентября, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) на Гол. Проспектѣ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე
~~~